

1969

საქართველო
საბჭოთავო

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 31 (191)

10 ნოემბერი

1962 წელი

უ ი ნ ა ა რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

- 459. კონვენცია განათლების დარგში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.
- 460. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახალხო დემოკრატიულ ალყირის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. ნ. აბრამოვის დანიშვნის შესახებ.
- 461. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა განის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან მ. დ. სიტენკოს გათავისუფლების შესახებ.
- 462. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა განის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად გ. მ. როდიონოვის დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

- 463. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დოცენტ ვ. მ. ოზოლის „საბათო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 464. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ე. ა. პერმიაკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჯნევის რწმუნეების სიგელები გადასცა სირიის არაბთა რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჯ. ატასიმ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჯნევის რწმუნეების სიგელები გადასცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა პ. გრეპერმა.



საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

465. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის ან. დ. ნ. ჩხეიძის საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ.
466. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების შესახებ.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

ბანყოფილება პირველი

კ ო ნ ვ ე ნ ც ი ა

459 განათლების დარგში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის
შესახებ

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია, რომელიც პარიზში შეიკრიბა თავის მეთერთმეტე სესიაზე და რომელმაც სხდომები გამართა 1960 წლის 14 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე,

მოაგონებს ყველას, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია განამტკიცებს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს და აღიარებს თითოეული ადამიანის უფლებას განათლებაზე,

ითვალისწინებს, რომ განათლების დარგში დისკრიმინაცია ამ დეკლარაციაში ჩამოყალიბებული უფლებების დარღვევაა,

ითვალისწინებს, რომ თავისი წესდების ძალით გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია ისწრაფვის დაამყაროს ერებს შორის თანამშრომლობა, რათა ყველგან უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვა და ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი გახადოს განათლების მიღება,

აღიარებს, მაშასადამე, რომ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ, გამომდინარე მ ცალკეულ ქვეყნებში მიღებული განათლების სისტემების მრავალსახეობიდან, არა მარტო უნდა აღმოფხვრას ყოველგვარი დისკრიმინაცია განათლების დარგში, არამედ ხელი უნდა შეუწყოს შესაძლებლობათა საყოველთაო თანასწორობას და ამ დარგში ყველასადმი თანაბარ დამოკიდებულებას,

იმ წინადადებათა მიღების შემდეგ, რომლებიც ეხება განათლების დარგში დისკრიმინაციის სხვადასხვაგვარ ასპექტებს, ე. ი. საკითხს, შეტანილს სესიის დღის წესრიგის 17. 1. 4 პუნქტში,

ითვალისწინებს მეათე სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ამ საკითხზე უნდა დაიდოს საერთაშორისო კონვენცია, აგრეთვე წევრ ქვეყნებს მიეცეთ რეკომენდაციები, და

1960 წლის თოთხმეტ დეკემბერს იღებს ამ კონვენციას.

მუხლი 1

1. ამ კონვენციაში გამოთქმა „დისკრიმინაცია“ გულისხმობს ყოველგვარ განსხვავებას, გამოჩაქისს, შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას რასის,

კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეკონომიური მდგომარეობის ან დაზღვევის ნიშნის მიხედვით, გამოთქმა „დისკრიმინაცია“, რომელიც მიზნად ისახავს ან გამოიწვევს იმას, რომ განათლების დარგში მოსაპობს ან დაარღვევს თანაბარ დამოკიდებულებას და, კერძოდ:

a) ამა თუ იმ პირს ან პირთა ჯგუფს დაუხშობს სასწავლებლის კარს, რა საფეხურისაც უნდა იყოს იგი;

b) შეზღუდავს ამა თუ იმ პირის ან პირთა ჯგუფის განათლებას დაბალი საფეხურის განათლებით;

c) ამა თუ იმ პირის ან პირთა ჯგუფისათვის შექმნის ან შეინარჩუნებს განცალკევებულ განათლების სისტემას ან სასწავლებლებს, ვარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კონვენციის 2 მუხლის დებულებით; ანდა

d) ადამიანის ღირსებისათვის შეუსაბამო მდგომარეობას, რომელშიც აყენებენ ამა თუ იმ პირს ან პირთა ჯგუფს.

2. ამ კონვენციაში სიტყვა „განათლება“ ეხება ყველა ტიპის და საფეხურის განათლებას და შეიცავს იმას, ხელმისაწვდომია თუ არა განათლება, რა დონისა და ხარისხის არის სწავლება, აგრეთვე რა პირობებში მიმდინარეობს იგი.

მუხლი 2

შემდეგი დებულებანი არ განიხილება დისკრიმინაციად ამ კონვენციის 1 მუხლის თვალსაზრისით, თუ ისინი დაშვებულია ცალკეულ სახელმწიფოებში:

a) განცალკევებული განათლების სისტემების ან სასწავლებლების შექმნა ან შენარჩუნება სხვადასხვა სქესის მოსწავლეთათვის იმ შემთხვევებში, როცა ეს სისტემები ან სასწავლებლები განათლების მისაღებად თანაბრად ხელმისაწვდომია, როცა მათი პედაგოგთა შემადგენლობა ერთნაირი კვალიფიკაციისაა, როცა ისინი ფლობენ თანაბარი ხარისხის შენობებს და მოწყობილობას და შესაძლებელს ხდიან სწავლებას ერთნაირი პროგრამებით;

b) რელიგიური ან ენობრივი ხასიათის მოტივებით შექმნა ან შენარჩუნება განცალკევებული განათლების სისტემების ან სასწავლებლებისა, რომლებიც იძლევიან ისეთ განათლებას, რაც შეესაბამება მოსწავლეთა მშობლების ან კანონიერი მეთურეების არჩევანს, იმ შემთხვევებში, როცა ამ სისტემებთან შეერთება ან ამ სასწავლებლებში შესვლა ნებაყოფლობითია და იქ მიღებული განათლება შეესაბამება განათლების კომპეტენტური ორგანოების მითითებულ ან დამტკიცებულ ნორმებს, კერძოდ ერთი და იმავე საფეხურის განათლების მიმართ;

c) კერძო სასწავლებლების შექმნა ან შენარჩუნება იმ შემთხვევებში, როცა მათი მიზანია კი არ გამორიცხონ ესა თუ ის ჯგუფი, არამედ შეავსონ განათლების მიღების ის შესაძლებლობანი, რასაც სახელმწიფო იძლევა, იმ პირობით, რომ მათი საქმიანობა ნამდვილად შეესატყვისება ზემოაღნიშნულ მიზანს და რომ იქ მიღებული განათლება შეესაბამება განათლების კომპეტენტური

ორგანოების მითითებულ ან დამტკიცებულ ნორმებს, კერძოდ ერთი და იმავე საფეხურის განათლების ნორმების მიმართ.

მუხლი 3

დისკრიმინაციის ლიკვიდაციის ან თავიდან აცილების მიზნით, დისკრიმინაციისა, რომელიც ამ კონვენციაში მოცემულ განსაზღვრებას შეესატყვისება, სახელმწიფოები, ამ უკანასკნელის მხარეები, კისრულობენ:

a) გააუქმონ ყველა საკანონმდებლო დადგენილება და ადმინისტრაციული განკარგულება და შეწყვიტონ დისკრიმინაციული ხასიათის ადმინისტრაციული პრაქტიკა განათლების დარგში;

b) თუ საჭირო იქნება, საკანონმდებლო წესით განახორციელონ აუცილებელი ზომები, რათა აღმოიფხვრას ყოველგვარი დისკრიმინაცია სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღების დროს;

c) რაც შეეხება სწავლის ქირას, მოსწავლეთათვის სტიპენდიების მიცემას ან ყოველგვარი სხვა დახმარების გაწევას, აგრეთვე ნებართვებსა და შეღავათებს, რომლებიც შეიძლება საჭირო იყოს საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად, არ დაუშვან სახელმწიფო ორგანოების მხრივ არავითარი განსხვავება ამ ქვეყნის მოქალაქე-მოსწავლეებისადმი მოპყრობაში, გარდა მათ მიღწევებსა ან მოთხოვნებებზე დამყარებული განსხვავებისა;

d) იმ შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ორგანოები სასწავლებლებს აღმოუჩენენ ამა თუ იმ სახის დახმარებას, არ დაუშვან არავითარი უპირატესობათა მინიჭება ან შეზღუდვები, დამყარებულნი მხოლოდ და მხოლოდ იმაზე, თუ რომელ განსაზღვრულ ჯგუფს განეკუთვნებიან მოსწავლეები;

e) ისეთივე ხელმისაწვდომი გახადონ განათლების მიღება მათ ტერიტორიებზე მცხოვრები უცხოელი მოქალაქეებისათვის, როგორც ეს თავიანთი მოქალაქეებისათვის არის უზრუნველყოფილი.

მუხლი 4

სახელმწიფოები, ამ კონვენციის მხარეები, გარდა ამისა კისრულობენ შემოუშაონ, განავითარონ და განახორციელონ საერთო სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომელიც გამოიყენებს ეროვნული პირობებისა და ადამ-წესების შესატყვის მეთოდებს შესაძლებლობებისა და დამოკიდებულების თანასწორობის გასახორციელებლად განათლების დარგში და, კერძოდ:

a) დაწყებითი სწავლება გახადონ სავალდებულო და უფასო; თავისი სხვადასხვა ფორმებით საშუალო განათლება აქციონ საერთო მონაპოვრად და უზრუნველყონ, რომ იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს; ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადონ უმაღლესი განათლება სრული თანასწორობის საფუძველზე და თითოეულის უნარის მიხედვით; უზრუნველყონ კანონით გათვალისწინებული სწავლების სავალდებულოობის დაცვა;



b) თანაბარი საფეხურის ყველა სახელმწიფო სასწავლებელში უზრუნველყონ განათლების ერთნაირი დონე და სწავლების ხარისხის თანაბრობა;

c) შესაფერისი მეთოდებით წახალისონ და განავითარონ ის, რომ იმ პირებმა, რომლებსაც არ მიუღიათ დაწყებითი განათლება ან არ დაუმთავრებიათ იგი, მიიღონ და განაგრძონ განათლება თითოეულის უნარის შესაბამისად;

d) უდისკრიმინაციოდ უზრუნველყონ მასწავლებლის პროფესიისათვის მომზადება.

მუხლი 5

1. სახელმწიფოებს, ამ კონვენციის მხარეებს, მიაჩნიათ, რომ:

a) განათლება მიზნად უნდა ისახავდეს ადამიანის პიროვნების სრულ განვითარებას და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მეტ პატივისცემას; მან ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხსა და ყველა რასობრივ ან რელიგიურ ჯგუფს შორის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას, აგრეთვე მშვიდობის შესანარჩუნებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობის განვითარებას;

b) მშობლებს და, შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, ჯერ ერთი, თითოეული სახელმწიფოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში თავიანთი შვილები თავისუფლად შეიყვანონ არა სახელმწიფო, არამედ სხვა სასწავლებლებში, რომლებიც აკმაყოფილებენ განათლების კომპეტენტური ორგანოების მითითებულ ან დამტკიცებულ მინიმალურ მოთხოვნებს, და მეორე, უზრუნველყონ ბავშვების რელიგიური და მორალური აღზრდა მათი საკუთარი რწმენის შესაბამისად; არავის ცალკე და ერთად აღებულ პირთა არც ერთ ჯგუფს თავს არ უნდა მოახვიონ ისეთი რელიგიური აღზრდა, რაც არ შეესაბამება მათ რწმენას;

c) უნდა ვალიაოთ, რომ იმ პირებს, რომლებიც ეროვნულ უმცირესობას ეკუთვნიან, უფლება აქვთ გასწიონ საკუთარი საგანმანათლებლო მუშაობა, სკოლებისადმი ხელმძღვანელობის ჩათვლით, და, განათლების დარგში თითოეული სახელმწიფოს პოლიტიკის შესაბამისად, გამოიყენონ ან ასწავლონ თავიანთი საკუთარი ენა, მაგრამ, იმ პირობით, რომ:

(i) ამ უფლების განხორციელება ხელს არ შეუშლის იმ პირებს, რომლებიც უმცირესობას ეკუთვნიან, გაიგონ მთელი კოლექტივის კულტურა და ენა და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში, და რომ იგი ძირს არ უთხრის ქვეყნის სტრუქტურა;

(ii) ასეთი სახის სკოლებში განათლების დონე არ არის საერთო დონეზე დაბალი, რომელიც მითითებული ან დამტკიცებულია კომპეტენტური ორგანოების მიერ; და

(iii) ასეთი სახის სკოლებში სიარული ფაკულტატიურია.

2. სახელმწიფოები, რომლებიც ამ კონვენციის მხარეებს წარმოადგენენ კისრულობენ ყველა საჭირო ზომა მიიღონ, რათა უზრუნველყონ ამ მუხლში 1 პუნქტში ჩამოყალიბებული პრინციპების გამოყენება.

მუხლი 6

ამ კონვენციის გამოყენების დროს სახელმწიფოები, ამ კონვენციის მხარეები, კისრულობენ რაც შეიძლება მეტად გაითვალისწინონ ის რეკომენდაციები, რომლებიც გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციას შეუძლია მიიღოს განათლების დარგში დისკრიმინაციის სხვადასხვა ასპექტების წინააღმდეგ ბრძოლის ზომების და ამ დარგში შესაძლებლობების და დამოკიდებულების თანასწორობის უზრუნველყოფის ზომების განსაზღვრის მიზნით.

მუხლი 7

სახელმწიფოებმა, ამ კონვენციის მხარეებმა, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ კონფერენციას პერიოდულად უნდა წარუდგინონ კონფერენციის მიერ დადგენილ ვადებსა და ფორმაში მოხსენებები, სადაც უნდა იუწყებოდნენ იმ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა ზომებს, რომლებიც მათ მიიღეს ამ კონვენციის განხორციელების მიზნით, კერძოდ, 4 მუხლში მოხსენიებული საერთო სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავებასა და განვითარებას, მოპოვებულ შედეგებსა და იმ დაბრკოლებებს, რომლებსაც წააწყდა ამ პოლიტიკის განხორციელება.

მუხლი 8

თუ ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შორის, რომლებიც ამ კონვენციის მხარეებს წარმოადგენენ, წარმოიშვება უთანხმოება მისი გაგების ან გამოყენების საკითხის გამო და თუ ეს უთანხმოება არ იქნება მოწესრიგებული მოლაპარაკების გზით, უთანხმოება გადაეცემა, მხარეების თხოვნით, საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოსატანად იმ შემთხვევაში, თუ უთანხმოების მოწესრიგების სხვა საშუალება არ აღმოჩნდება.

მუხლი 9

არავითარი დამატებითი შენიშვნები ამ კონვენციის მიმართ არ დაიშვება.

მუხლი 10



ეს კონვენცია არ შელახავს იმ უფლებებს, რომლებითაც შეუძლიათ ისარგებლონ ცალკეულმა პირებმა ან ჯგუფებმა ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შორის დადებული შეთანხმებების ძალით, იმ პირობით, რომ ეს უფლებები მკვეთრად არ ეწინააღმდეგება კონვენციის შინაარსს ან სულისკვეთებას.

მუხლი 11

ეს კონვენცია შედგენილია ესპანურ, ანგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე, ამასთან ოთხივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

მუხლი 12

1. ეს კონვენცია რატიფიცირებულ ან მიღებულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია მათი კონსტიტუციებით.

2. სარატიფიკაციო სიგელები ან მიღების აქტები შესანახად უნდა ჩაბარდეს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს.

მუხლი 13

1. შეიძლება, რომ ამ კონვენციას შემოუერთდეს ყოველი სახელმწიფო, რომელიც არ არის გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის წევრი და რომელიც მიიღებს აღმასრულებელი საბჭოს მოწვევას შემოუერთდეს მას.

2. შემოერთება ხდება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორისათვის შემოერთების აქტის შესანახად ჩაბარების გზით.

მუხლი 14

ეს კონვენცია ძალაში შევა მესამე სარატიფიკაციო სიგელის ანდა მიღების ან შემოერთების აქტის შესანახად ჩაბარების დღიდან სამი თვის შემდეგ, მაგრამ მხოლოდ იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებმაც შესანახად ჩააბა-

რეს რატიფიკაციის, მიღების ან შემოერთების თავიანთი აქტები დანიშნულ
დღეს ან უფრო ადრე. ყოველი სხვა სახელმწიფოს მიმართ კონვენცია დადგინდა
შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა ის შესაძლებელ ჩააბარებს რატიფი-
კაციის, მიღების ან შემოერთების თავის აქტს.

მუხლი 15

სახელმწიფოები, ამ კონვენციის მხარეები, აღიარებენ, რომ მისი მოქმე-
დება ვრცელდება არა მარტო მათი მეტროპოლიების ტერიტორიებზე, არამედ
ყველა არათვითმმართველ, სამეურნეო კოლონიურ და სხვა ტერიტორიებზე,
რომელთა საგარეო ურთიერთობისათვის ისინი პასუხისმგებელი არიან; ისინი
კისრულობენ, თუ საჭირო იქნა, მოეთათბირონ აღნიშნული ტერიტორიების
მთავრობებს ან კომპეტენტურ ხელისუფალთ რატიფიკაციის, მიღების ან შე-
მოერთების დროს, ანდა უფრო ადრე, რათა უზრუნველყონ კონვენციის გან-
ხორციელება ამ ტერიტორიებზე, აგრეთვე მოახდინონ გაერთიანებული ერების
განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირ-
ექტორის ნოტიფიკაცია იმ ტერიტორიების შესახებ, რომლებზედაც კონვენ-
ცია განხორციელდება. ეს ნოტიფიკაცია ძალაში შედის მისი მიღებიდან სამი
თვის შემდეგ.

მუხლი 16

1. ყოველ სახელმწიფოს, ამ კონვენციის მხარეს, შეუძლია მოახდინოს
მისი დენონსაცია თავისი სახელით ან რომელიმე ტერიტორიის სახელით,
რომლის საგარეო ურთიერთობისთვისაც იგი პასუხისმგებელია.

2. დენონსაციის ნოტიფიკაცია ხდება წერილობითი აქტით, რომელიც
უნდა ჩაბარდეს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულ-
ტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს.

3. დენონსაცია ძალაში შედის დენონსაციის აქტის მიღებიდან თორმეტი
თვის შემდეგ.

მუხლი 17

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორ-
განიზაციის გენერალური დირექტორი აცნობებს ორგანიზაციის წევრ სახელ-
მწიფოებს, 13 მუხლში მოხსენიებულ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ორგანი-
ზაციის წევრებად არ ირიცხებიან, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანი-
ზაციას 12 და 13 მუხლებში მოხსენიებული რატიფიკაციის, მიღების ან შემო-
ერთების ყველა აქტის შესახებ ჩაბარების შესახებ, აგრეთვე 15 და 16 მუხ-
ლებში აღნიშნულ ნოტიფიკაციებისა და დენონსაციების შესახებ.



1. ამ კონვენციის გადასინჯვა შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ კონფერენციას, მაგრამ მისი გადასინჯული ტექსტი დაავალდებულებს მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც გახდებიან გადასინჯული კონვენციის მხარეები.

2. იმ შემთხვევაში, თუ გენერალური კონფერენცია მიიღებს ახალ კონვენციას ამ კონვენციის მთლიანი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შედეგად და თუ ახალი კონვენცია არ შეიცავს სხვა მითითებებს, ეს კონვენცია დაიხურება რატიფიკაციის, მიღებისა ან შემოერთებისათვის იმ ახალი კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან, რომელიც შეიცავს გადასინჯულ ტექსტს.

მუხლი 19

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102 მუხლის თანახმად, ეს კონვენცია რეგისტრირებულ იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორის თხოვნით.

შედგენილია პარიზში 1960 წლის თხუთმეტ დეკემბერს ორ აუთენტურ ეგზემპლარად, რომლებსაც ხელს აწერენ მეთერთმეტე სესიაზე შეკრებილი გენერალურ კონფერენციის თავმჯდომარე და გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორი; ეს ეგზემპლარები ჩაბარდება შესაძლევად გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის არქივს და სათანადოდ დამოწმებული მათი ასლები გაეგზავნება ყველა სახელმწიფოს, რომელიც აღნიშნულია 12 და 13 მუხლებში, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

ზემოთ მოყვანილი ტექსტი წარმოადგენს იმ კონვენციის ნამდვილ ტექსტს, რომელიც სათანადო წესით მიიღო გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურმა კონფერენციამ პარიზში გამართულ და 1960 წლის თხუთმეტ დეკემბერს დამთავრებულ მეთერთმეტე სესიაზე.

რის დასადასტურებლად ამ კონვენციას ხელს აწერენ 1960 წლის თხუთმეტ დეკემბერს

გენერალური კონფერენციის
თავმჯდომარე

(ხელმოწერა)

გენერალური დირექტორი

(ხელმოწერა)

* * *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1962 წლის 2 ივლისს.

კონვენცია განათლების დარგში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისათვის ამ კონვენციის 14 მუხლის თანახმად ძალაში შევიდა 1962 წლის 1 ნოემბერს.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

460 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დადგენილია სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. ნ. აბრამოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ალექსანდრე ნიკიტას ძე აბრამოვი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომრბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 30 ოქტომბერი.

№ 574-VI.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

461 განისაზღვრება სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან მ. დ. სიტენკოს გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს მიხეილ დიმიტრის ძე სიტენკო განის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლისთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომრბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 31 ოქტომბერი.

№ 575-VI.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

462 განისაზღვრება სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩად გ. მ. როდიონოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს გიორგი მიხეილის ძე როდიონოვი განის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომრბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 31 ოქტომბერი.

№ 576-VI.



ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

463 დოცენტ ვ. მ. ოზოლის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილ-
დობის შესახებ

მრავალი წლის პედაგოგიური მუშაობისა და აქტიური საზოგადოებრივი პოლევოცობისათვის, დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით დო-
ცენტი ვოლდემარ მიხეილის ძე ოზოლი დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“
ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 27 ოქტომბერი.

№ 569-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

464 მწერალ ე. ა. პერმიაკის შრომის წითელი დროვის ორდენით
დაჯილდობის შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბა-
დების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით მწერალი ევგენი ანდრიას ძე
პერმიაკი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროვის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 30 ოქტომბერი.

№ 573-VI.

ბანუოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს
ლ. ი. ბრეჟნევის რწმუნების სიგალები გადასცა სირიის არაბთა რეს-
პუბლიკის სახანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჯ. აბასიმ.

ა.წ. 26 ოქტომბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდი-
უმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევი მიიღო სირიის არაბთა რესპუბლიკის სა-
განგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჯაუდათ ატასი, რომელმაც გადასცა თა-
ვისი რწმუნების სიგალები.

ელჩს თან ახლდნენ საელჩოს მრჩეველი მ. მუსა-ბაშა, სამხედრო ატაშე
ტ. ნურალაზი, სამხედრო ატაშეს თანამემწეები ა. ზ. შარიფი და ფ. ბუნი, ატა-
შეები ს. ხუნიდი და რ. ხიმათი, რომლებიც ელჩმა ლ. ი. ბრეჟნევის წარუდგინა.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. გ. ლაპინი, სსრ კავშირის უმაღლესი პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირთა განყოფილების გამგე ვ. გ. ვისოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგეები ა. დ. შჩიბორინი და თ. თ. მოლოჩკოვი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ჯაუღათ ატასის, საუბარს დაესწრო ს. გ. ლაპინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჰ. გრეპერმა

ა. წ. 30 ოქტომბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჰორსტ გრეპერი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ სრულუფლებიანი მინისტრი, მრჩეველი გ. შოლი, საელჩოს პირველი მდივნები რ. ფონ ვისტინგჰაუზენი, ა. რინელტი, მეორე მდივნები ი. ფონ ალტენი, რ. ვაგნერი, ვ. ფიშანი, რ. დირნკერი, კ. გ. ბიუტოვი, მესამე მდივანი მ. კოი, რომლებიც ელჩმა ლ. ი. ბრეჟნევს წარუდგინა.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ი. ი. ილიჩოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირთა განყოფილების გამგე ვ. გ. ვისოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ჰ. გრეპერს. საუბარს დაესწრო ვ. ს. სემიონოვი.



საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები
და დადგენილებები

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

465 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის ანხ. დ. ნ. ჩხეიძის საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ

დანიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი ანხ. დავით ნესტორის ძე ჩხეიძე საქართველოს სსრ მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძმუწინძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიანოვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 31 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

466 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ჩატარდეს საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები 1962 წლის 5 დეკემბრიდან 20 დეკემბრამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძმუწინძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიანოვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 4 ნოემბერი.

გამომცემლობა „ნიჰენსია“
მოსკოვი, ცენტრი. პუშკინის მოედანი, 5.

დაიწყო ხელმოწერა
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
უწყებებზე
1963 წლისათვის

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“
ქვეყნდება:

პირველ განყოფილებაში — სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები; სსრ კავშირის მიერ უცხო სახელმწიფოებთან დადებული და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებები, შეთანხმებები და კონვენციები;

მეორე განყოფილებაში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საბჭოს კავშირის გვირისა და სოციალისტური შრომის გვირის წოდებათა, საპატიო წოდებათა მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ;

მესამე განყოფილებაში — მოკლე ცნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების, მათი მუდმივი კომისიების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, ინფორმაცია საპარლამენტაში სსრ კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიერ რწმუნების სიგელების გადაცემის შესახებ, ცნობები მოკავშირე რესპუბლიკების აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვა.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“
გამოდის კვირაში ერთჯერ.

ხელმოწერის ფასი:

- 12 თვით — 4 მანეთი და 80 კაპ.
- 6 თვით — 2 მანეთი და 40 კაპ.
- 3 თვით — 1 მანეთი და 20 კაპ.

ხელმოწერა მიიღება ყოველი მომდევნო თავიდან.

ხელმოწერას მიიღებს:

„სოიუზპეჩატი“, ყველა საფოსტო კანტორა და რკინიგზის გამომცემლობის რწმუნებულები ტრანსპორტზე, „სოიუზპეჩატის“ საქალაქო და რაიონული განყოფილებები, კავშირგაბმულობის კონტორები, განყოფილებები და სააგენტოები, ფოსტალიონები, აგრეთვე რწმუნებულები, რომელთაც ფაბრიკებში, ქარხნებში, მშენებლობებზე, შახტებში, რკინიგზის ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ხელმოწერის მიღების რწმუნება აქვთ.